განკარგულება:**გ-81.81221243**
თარიღი:**04/05/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №25

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების - სოფ. ორბელში, ყოფილი ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული 450 კგ-მდე რკინის ჯართის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე- 2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე. დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 34-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი შემფასებლის მაია გვეტეძის (სერთიფიკატი № p-0430) 2022 წლის 18 აპრილის დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სოფ. ორბელში ყოფილი ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული 450 კგ-მდე რკინის ჯართის ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 315 ლარის (სამას თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69)

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი